დამტკიცებულია
შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის
კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 8 თებერვლის
N3774 ბრძანებით

# შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი

## მუხლი 1. ზოგადი დებულებები

წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის (შემდგომში - კოლეჯის) ბიბლიოთეკით სარგებლობის წესს, რომლის მიზანია პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულების სასწავლო და ადმინისტრაციულ პროცესებში ჩართული საზოგადოებისთვის საბიბლიოთეკო სერვისებით ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

## მუხლი 2. ბიბლიოთეკით სარგებლობის ინსტრუქცია

1. ბიბლიოთეკა მდებარეობს კოლეჯის მფლობელობაში არსებულ ფართობში.
2. ბიბლიოთეკა მუშაობს:
ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით: დილის 10.00სთ-დან – 18.00-მდე;
შაბათს: დილის 11.00სთ-დან – 16.00-მდე.
ბიბლიოთეკით სარგებლობის უფლება:
1. ბიბლიოთეკით სარგებლობის უფლება აქვთ ბიბლიოთეკაში გაწევრიანებულ პირებს.
2. ბიბლიოთეკაში გაწევრიანების უფლება აქვთ:
ა) კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებს;
ბ) კოლეჯის პერსონალს.
3. კოლეჯის პროფესიული სტუდენტის ბიბლიოთეკაში გაწევრიანება ხდება ერთხელ, მისი სტუდენტად ყოფნის პერიოდში. პროფესიული სტუდენტი, რომელიც ერთხელ გაწევრიანდება სწავლების პერიოდში, რჩება ბიბლიოთეკის წევრად სწავლების მთელი პერიოდისათვის.
4. პროფესიული სტუდენტის ბიბლიოთეკაში გაწევრიანება დასტურდება ბიბლიოთეკარის მიერ მკითხველის ბარათის შევსებით.
5. კოლეჯის პროფესიული სტუდენტისა და პერსონალისთვის ბიბლიოთეკაში გაწევრიანება უფასოა.
6. კოლეჯის პერსონალის (ადმინისტრაციული, პროგრამის განმახორციელებელი პირები/პროფესიული განათლების მასწავლებლები) ბიბლიოთეკაში გაწევრიანება ხდება მათ მიერ შესაბამის პოზიციებზე ყოფნის განმავლობაში.
7. პერსონალის ბიბლიოთეკაში გაწევრიანება დასტურდება ბიბლიოთეკარის მიერ მკითხველის ბარათის შევსებით.

## მუხლი 3. ბიბლიოთეკიდან წიგნების გატანა და დაბრუნება:

1. წიგნები, რომლებიც ბიბლიოთეკას აქვს მხოლოდ თითო ეგზემპლარი, გამონაკლისის გარეშე, ბიბლიოთეკიდან არ გაიცემა. ასეთი წიგნებით სარგებლობის უფლება პროფესიულ სტუდენტებს და პერსონალს შეუძლიათ, მხოლოდ სამკითხველო დარბაზში (საჭიროების შემთხვევაში შეუძლიათ ქსეროქსზე გადაიღონ მისთვის საჭირო მასალები).
2. პროფესიულ სტუდენტს შეუძლია ბიბლიოთეკიდან გაიტანოს ის წიგნები ან წიგნების ელექტრონული ვერსიები, რომლებიც ბიბლიოთეკაში რამდენიმე ეგზემპლარის სახით არსებობს. უპირატესად გაიცემა დაქსეროქსებული ეგზემპლარი.

3. ბიბლიოთეკიდან წიგნი გაიცემა ხუთი სამუშაო დღის ვადით. მკითხველი ვალდებულია წიგნი დაუბრუნოს ბიბლიოთეკას. თუ მკითხველს წიგნი კვლავაც სჭირდება, მას შეუძლია ის ხელახლა გაიტანოს (ისევ ხუთი სამუშაო დღის ვადით), იმ შემთხვევაში, თუკი წიგნზე არ შემოსულა სხვა განაცხადი.
4. თუ წიგნის დაბრუნება ბიბლიოთეკაში არ მოხდა საჭირო დროს, მკითხველმა აუცილებლად უნდა შეატყობინოს ბიბლიოთეკას ამის მიზეზი. მიზეზის არასაპატიოდ ჩათვლის შემთხვევაში იგი ვალდებულია დააბრუნოს წიგნი ორი დღის ვადაში. ორი დღის გადაცილების შემთხვევაში ყოველ გადაცილებულ დღეზე მკითხველი ვალდებულია გადაიხდოს ჯარიმა ორი ლარის ოდენობით.
5. წიგნის დაკარგვის ან ისეთი დოზით დაზიანების შემთხვევაში, როდესაც მისი გამოყენება შეუძლებელია, წიგნის გამტანი ვალდებულია, ერთი დღის ვადაში ბიბლიოთეკაში მოიტანოს იგივე სახის წიგნი ან აანაზღაუროს გატანილი წიგნის საბაზრო ღირებულება კოლეჯის ფინანსური სამსახურის მენეჯერთან ანგარიშსწორებით.
6. წიგნის გატანის ვადის გახანგრძლივება შეიძლება მხოლოდ ორჯერ.
7. ბიბლიოთეკარს შეუძლია მოითხოვოს წიგნის ან ბიბლიოთეკიდან გატანილი რომელიმე სხვა ნივთის (დისკის) ვადაზე ადრე დაბრუნება. ასეთ შემთხვევაში მკითხველი ვალდებულია წიგნი დააბრუნოს შეტყობინებიდან ერთი დღის განმავლობაში.
8. გატანილი მასალისა და წიგნის დაკარგვის შემთხვევაში მკითხველი იხდის ჯარიმას, მასალის ან წიგნის საბაზრო ღირებულების ორმაგი ოდენობით.
9. ბიბლიოთეკის თანამშრომელს უფლება აქვს განსაკუთრებულ შემთხვევებში, კოლეჯის დირექტორის თანხმობით აკრძალოს ან შეცვალოს ბიბლიოთეკიდან წიგნის გატანის წესი, ან არ გაატანოს წიგნი იმ პირებს, რომლებიც შემჩნეულნი არიან წიგნის დაგვიანებით დაბრუნებაში.

**მუხლი 4. ბიბლიოთეკაში ქცევის წესები:**
1. ბიბლიოთეკით მოსარგებლე ვალდებულია:
ა) წიგნის გამოყენების შემდეგ თვითნებურად არ დადოს წიგნი თაროზე;
ბ) წიგნი უნდა მიუბრუნოთ ბიბლიოთეკარს. ბიბლიოთეკარი თვითონ დააბრუნებს მას ადგილზე;
გ) ბიბლიოთეკაში დაუშვებელია საკვების მიღება, ნებადართულია მხოლოდ სასმელი წყლის შეტანა.
2. ბიბლიოთეკაში სასტიკად აკრძალულია:
ბ) ხმაური და საუბარი;
გ) მობილურ ტელეფონზე საუბარი;
დ) წიგნის არასწორად დადება ან მისი დამალვა სხვა პროფესიული სტუდენტისათვის წიგნის გამოყენების ხელისშეშლის მიზნით;
ე) წიგნის ან სასწავლო მასალების ქურდობა, დაზიანება, დაფხაჭნა, ფურცლების ამოგლეჯა.
3. აღნიშნული წესებისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში ბიბლიოთეკარი უფლებამოსილია ბიბლიოთეკით სარგებლობის უფლება შეზღუდოს ასეთ მომხმარებელს.

**მუხლი 5. დასკვნითი დებულება**
1. ბიბლიოთეკარი(ქ. თბილისი/ქ. თელავის განყოფილება) ანგარიშვალდებულია კოლეჯის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის წინაშე.
2. წინამდებარე დოკუმენტი ვრცელდება, როგორც ქ. თბილისში, ასევე კოლეჯის დამატებით სასწავლო ფართზე ქ. თელავის განყოფილებაში.
3. წინამდებარე დოკუმენტი დამტკიცებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის დირექტორის მიერ. დოკუმენტში ცვლილების განხორციელების შესახებ ბრძანებას გამოსცემს კოლეჯის დირექტორი.